სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა
მისამართი: ბათუმი, ხ.ახვლედიანის ქ.N 19
☎577747635
E-mail: batumi2@mes.gov.ge
ს/კ 245429488

LEPL BATUMI PUBLIC SCHOOL №2
BATUMI , KHARITON AKHVLEDIANI STREET
N19
☎577747635
E-mail: batumi2@mes.gov.ge
I/D 245429488

ბათუმი

23.02.2024წ

ბრძანება N01-03/28

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის რემედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43- ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის რემედიაციის პროგრამა თანდართული დანართის შესაბამისად;
2. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სკოლის კანცელარიას;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30).

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის

დირექტორი მარიზა აბაშიძე

დამტკიცებულია სკოლის
დირექტორის მიერ
ბრძანება N01-03/28, 23.02.2024წ.

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა

რ ე მ ე დ ი ა ც ი ა

შესავალი

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში-სკოლა) ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს.
2. რემედიაცია მიზნობრივი აქტივობების საშუალებით არსებული პრობლემის შემცირებას ან სრულად გადაჭრას ნიშნავს. პრობლემის დროულად აღმოჩენა და ჩარევა სასურველი შედეგის მიღწევას მნიშვნელოვნად აადვილებს.
3. სარემედიაციო პროგრამის სამიზნე ჯგუფში არ შედიან ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღნიშნული პროგრამა იქმნება იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან იმ ტიპის სირთულეებს, როგორიცაა – არასაკმარისი სასკოლო მზაობა, დეკოდირების პრობლემა, წაკითხულის გააზრება, ბგერებისა და ასოების არევა და სხვ.
4. თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება, სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს შესთავაზოს რემედიაციის პროგრამა საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით.
5. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე.
6. რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლა თავაზობს იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან

სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ.

7. რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ესგ-ის სტანდარტების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და სტრატეგიები. პროგრამაში მონაწილეობენ ისეთი მოსწავლეები, რომელთათვისაც სტანდარტული სასწავლო პროცესი სხვადასხვა საკვანძო/სამიზნე ინდიკატორით განსაზღვრული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად საკმარისი არ არის, ანუ გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებულ, არასრულყოფილად ნასწავლ/გამოტოვებულ კომპონენტთან მიბრუნებასა და ახლებურად სწავლებას იდენტიფიცირებული მოსწავლისათვის.

სარემედიაციო პროგრამის ხელმძღვანელობა სკოლაში:

მოსწავლეთა სარემედიაციო ჯგუფთან/ინდივიდთან გაკვეთილებს წარმართავს საგნის მასწავლებელი, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს საგნის ძირითადი მასწავლებელი სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეების კლასებში. სწორედ მის კომპეტენტურობასა და დროულ, სწორ რეაგირებაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტურად წარიმართება პრობლემის აღმოფხვრის პროცესი. თუმცა, იმისათვის, რომ მოსწავლეთა საჭიროებების ფართო სპექტრი დაკმაყოფილდეს, სარემედიაციო ჯგუფების მასწავლებლებს აუცილებლად სჭირდებათ სკოლის დირექტორის, კლასის დამრიგებლის, საგნის ძირითადი მასწავლებლისა და მშობლების მხარდაჭერა და ჩართულობა.

ეფექტური სარემედიაციო პროგრამა მიზანს აღწევს სწორედ ამ ოთხი ჯგუფის თანამშრომლობითა და სრულფასოვანი ჩართულობით.

სარემედიაციო ჯგუფის ზომა და რაოდენობა:

სარემედიაციო ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 1 - 5 ბავშვით. მოსწავლეთა რაოდენობისა და ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლაში შეიძლება შეიქმნას ერთი, ორი ან რამდენიმე სარემედიაციო ჯგუფი, რომელსიც შეიძლება გაერთიანდეს პარალელი კლასის მოსწავლეებიც.

საგანში.სარემედიაციო პროგრამის ინტენსივობა:

სარემედიაციო პროგრამა თითოეულ საგანში ითვალისწინებს 18 გაკვეთილს (გაკვეთილის

ხანგრძლიობაა 40-45 წთ), რომელიც ტარდება 6 კვირის განმავლობაში (კვირაში 3 გაკვეთილი). გაკვეთილები ტარდება არასაგაკვეთილო დროის დასრულების შემდეგ.

მასწავლებელთა და სკოლის წარმომადგენელთა მომზადება :

რემედიაციის პროგრამის განხორციელების დაწყებამდე, ისევე როგორც მისი განხორციელების პროცესში, უნდა მოხდეს პროგრამაში ჩართული მასწავლებლების მომზადება.

მასწავლებლები მომზადებიან 4 ეტაპად. მოსამზადებელი პროგრამის დაწყებამდე სკოლის დირექტორის მ.შ უნდა შეარჩიოს საგნის რამდენიმე მასწავლებელი (სარემედიაციო ჯგუფის სწავლების პოტენციური წარმმართველები).

სარემედიაციო პროგრამის განხორციელების საფეხურები და ვადები

განხორციელების საფეხური და საჭირო დრო	შემსრულებლები	განხორციელების საფეხურის შინაარსი
საფეხური 1. მოსწავლეთა შერჩევა სარემედიაციო პროგრამაში ჩასართავად	სკოლის დირექტორი მასწავლებლები	დიაგნოსტირების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უნდა გამოვლინდნენ ის მოსწავლეები, რომლებსაც სირთულეები აქვთ კონკრეტული საგნის სამიზნე უნარებში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას
საფეხური 2. სარემედიაციო ინტერვენციის დაგეგმვა და	სკოლის დირექტორი სარემედიაციო	საჭიროების შემთხვევაში უნდა შედგეს რემედიაციის გრაფიკი, შემუშავდეს

გაკვეთილის გეგმების შემუშავება	ჯგუფების მასწავლებლები	სარემედიაციო პროგრამა და ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების გეგმები.
საფეხური 3. სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება და ინტერვენციის მონიტორინგი	სკოლის დირექტორი სარემედიაციო ჯგუფების მასწავლებლები	უნდა წარიმართოს ინტერვენციის პროცესი, რომლის განსმავლობაში აღირიცხება მოსწავლეთა დასწრება, გამოიყენება სასწავლო რესურსები და რემედიაციული ტექნიკები, იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, ხდება ყოველკვირეული კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლის ძირითად საგნობრივ მასწავლებელთან, სარემედიაციო სამუშაოს პროცესში გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება ინტერვენციის პროცესის მონიტორინგი. განიხილება მოსწავლეების პორტფოლიოები, პროგრესის მონიტორინგისა და ინტერვენციის მონიტორინგის შედეგები, მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შემუშავდება რეკომენდაციები მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართული პირებისთვის (მასწავლებელი, მშობელი და ა.შ.).

საფეხური 4. ინტერვენციის შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღება	სკოლის დირექტორი სარემედიაციო ჯგუფების მასწავლებლები	უნდა შემოწმდეს მოსწავლეების მიერ მიღწეული პროგრესი სამიზნე უნარებში, რისთვისაც ჩატარდეს ტესტირების შედეგების ანალიზი, რომელიც გამოავლენს პროგრესს თითოეული მოსწავლისთვის, თითოეული სარემედია- ციო ჯგუფისთვის და მთლიანად სამიზნე ჯგუფის მოსწავლეებისთვის
საფეხური 5. გამოცდილების შეჯამება და გაზიარება	სკოლის დირექტორი მასწავლებლები	უნდა ჩატარდეს შემაჯამებელი უკუკავშირის სემინარი რემედიაციის პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისა
		და სკოლის დირექტორის მ.შ შემადგენლობით.

რემედიაციის პროგრამის მონაწილეთა ფუნქციები და მოვალეობები

სკოლის დირექტორი

- სასკოლო საზოგადოებას აცნობს რემედიაციის პროგრამის მნიშვნელობასა და არსს;
- შეარჩევს კვალიფიციური და მოტივირებული მასწავლებლები რემედიაციის პროგრამის განსახორციელებლად;
- მონაწილეობს მასწავლებლების საორიენტაციო შეხვედრაში;
- მონაწილეობს და ეხმარება მასწავლებლებლებს სარემედიაციო ჯგუფებისთვის მოსწავლეთა შერჩევის პროცესში;
- მონიტორინგს უწევს სარემედიაციო პროგრამის განხორციელებას, რეგულარულად ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს სთავაზობს კონსტრუქციულ უკუკავშირს; • საჭიროებისამებრ, მონაწილეობს სარემედიაციო პროგრამისა და გაკვეთილების დაგეგმვაში;
- მონაწილეობს ინტერვენციის საბოლოო შედეგების შეჯამებაში;
- ქმნის რემედიაციის პროგრამის განხორციელებისთვის ხელსაყრელ გარემოსა და პირობებს სკოლაში (საკლასო ოთახის გამოყოფა, განრიგის შემუშავება, საკანცელარიო რესურსებით უზრუნველყოფა და ა.შ.);

რემედიაციის ჯგუფის მასწავლებელი

- ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა შერჩევის პროცესს: ადგენს სკრინინგული ტესტის, ფოკუსირებული ტესტისა და ინდივიდუალური ფოკუსირებული ინტერვიუების ჩატარების განრიგს; შემუშავებულ განრიგს უზიარებს სკოლის დირექტორს;
- მონაწილეობს სარემედიაციო ჯგუფის მოსწავლეთა შერჩევის პროცესში: - ადგენს სკრინინგულ ტესტს და თანამშრომლობს საგნის ძირითად მასწავლებლებთან სკრინინგული ტესტის ჩატარების პროცესში; საგნის ძირითადი მასწავლებლების თანამშრომლობით აანალიზებს სკრინინგული ტესტის შედეგებს; - დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან ერთად ატარებს ფოკუსირებულ ტესტირებას და აანალიზებს მის შედეგებს; საგნის მასწავლებელთან და სხვა რემედიატორ მასწავლებელთან თანამშრომლობით ატარებს ინდივიდუალურ ფოკუსირებულ ინტერვიუს შერჩეულ მოსწავლეებთან.
- დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან თანამშრომლობით იმუშავებდა სარემედიაციო პროგრამასა და გაკვეთილების გეგმებს;
- ატარებს სარემედიაციო გაკვეთილებს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით; აკვირდება და აღრიცხავს მოსწავლეთა პროგრესს;
- რეგულარულად თანამშრომლობს მშობლებთან, კლასის დამრიგებელთან და საგნის ძირითად მასწავლებელთან მოსწავლის მოტივაციისა და სასწავლო შედეგების ამაღლების მიზნით;
- სარემედიაციო პროგრამის დასასრულს ატარებს ფოკუსირებულ ტესტს (პოსტ-ტესტს) მოსწავლეთა პროგრესის გაზომვის მიზნით;
- დირექტორთან და სხვა რემედიატორ მასწავლებლებთან თანამშრომლობით განიხილავს და აანალიზებს მოსწავლეების შედეგებს შემდეგი მასალების საფუძველზე: ტესტები, მოსწავლის პორტფოლიო, მასწავლებლის ჩანაწერები და ა.შ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს მოსწავლისათვის; რეკომენდაციებს უზიარებს კლასის დამრიგებელს, საგნის ძირითად მასწავლებელსა და მშობლებს.
- მონაწილეობს რემედიაციის პროგრამის შემაჯამებელ შეხვედრაში საგნის ძირითადი მასწავლებელი
- თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და კლასის დამრიგებელთან პროგრამის მსვლელობის დროს;
- ატარებს სკრინინგულ ტესტს, აანალიზებს შედეგებს და უზიარებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;
- ატარებს საგნის ფოკუსირებულ ტესტს, აანალიზებს შედეგებს და უზიარებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს;
- ეხმარება სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს მოსწავლეთა აკადემიური პრობლემების კვლევის პროცესში;
- სასწავლო პროცესში ითვალისწინებს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებლის რეკომენდაციებს;
- თანამშრომლობს მშობელთან მოსწავლის სარემედიაციო პროგრამაში ეფექტურად მონაწილეობის მიზნით.

კლასის დამრიგებელი

- თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელსა და საგნის ძირითად მასწავლებელთან;
- ეხმარება სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს მოსწავლეთა აკადემიური პრობლემების კვლევის პროცესში;
- ხელს უწყობს მშობლების მხარდაჭერას მოსწავლის სარემედიაციო პროგრამაში მონაწილეობის პროცესში. ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას მშობელსა და სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელს შორის.

მშობელი

- ეცნობა რემედიაციის პროგრამის ფარგლებში მოსწავლესთან დაკავშირებულ მიზნებს, გაკვეთილის განრიგსა და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- თანამშრომლობს სარემედიაციო ჯგუფის მასწავლებელთან, საგნის ძირითად მასწავლებელსა და კლასის დამრიგებელთან მოსწავლის აკადემიური პრობლემების შესწავლის მიზნით;
- უზრუნველყოფს მოსწავლის რეგულარულად დასწრებას სარემედიაციო გაკვეთილებზე.